საქართველოდან გამსვლელთა სამოგზაურო დაზღვევის პირობები



Terms of travel insurance for travelers from Georgia

უნისონი
საერთაშორისო კომპანია

საქართველოდან გამსვლელთა სამოგზაურო დაზღვევის პირობები

Terms of Travel Insurance for Travelers from Georgia

1. სამედიცინო დაფარვები და ლიმიტები / Medical Covers and Limits

მომსახურება, სახეობა	ქველიმიტი/Sublimit USD/EURO	Service
სამედიცინო ასისტანსი 24/7	**ულიმიტო/unlimited**	MEDICAL ASSISTANCE 24/7
სასწრაფო სამედიცინო დახმარება	**500,00 USD/EURO**	EMERGENCY MEDICAL CARE
გადაუდებელი ამბულატორიული მკურნალობა	**5 000,00 USD/EURO**	EMERGENCY OUT-PATIENT TREATMENT
გადაუდებელი ქირურგიული მკურნალობა **	**30 000,00 USD/EURO**	EMERGENCY SURGICAL TREATMENT**
გადაუდებელი სტაციონარული მკურნალობა/მკურნალობა რეანიმაციულ განყოფილებაში *	**30 000,00 USD/EURO**	MEDICAL SERVICE OF IN-PATIENT/ INTENSIVE CARE*
გადაუდებელი სტომატოლოგიური მკურნალობა	**500,00 USD/EURO**	EMERGENCY DENTAL TREATMENT
გადაუდებელი ოფთალმოლოგიური მომსახურება	**1 000,00 USD/EURO**	URGENT OPHTHALMOLOGIC CARE
სამედიცინო ევაკუაცია /რეპატრიაცია	**5 000,00 USD/EURO**	MEDICAL EVACUATION/ REPATRIATION
სულ	**50 000,00 USD/EURO**	**TOTAL**

***გადაუდებელი სტაციონალური მკურნალობა/ მკურნალობა რეანიმაციულ განყოფილებაში** ჯამური ლიმიტი 30 000,00 USD/EURO. იმ შემთხვევაში თუ სტაციონარული მკურნალობის ხარჯები იანგარიშება დღიურად, მაქსიმალური ქველიმიტი ერთი საწოლდღეზე 1000 აშშ დოლარი/ევრო. ამავდროულად, ასანაზღაურებელი დღეების მაქსიმალური ოდენობა განისაზღვრება არაუმეტეს დაზღვევის ვადის ამოწურვიდან 15 (თხუთმეტი) დღისა.

***Emergency inpatient treatment/treatment in the intensive care unit** has a total limit of USD/EURO 30,000.00. If inpatient treatment costs are calculated on a daily basis, the maximum sublimit per bed-day shall be USD/EURO 1,000. At the same time, the maximum period for which expenses may be reimbursed shall not exceed 15 (fifteen) days following the expiry of the insurance period.

გადაუდებელი ამბულატორიული მომსახურება - გულისხმობს სადაზღვევო პოლისის პერიოდში, დაზღვეულ სამედიცინო დაწესებულებაში დაზღვეული გადაუდებელი ამბულატორიული მკურნალობის ხარჯების ანაზღაურებას, მაქსიმალური ლიმიტით აშშ დოლარის ოდენობით/ევრო 5,000.	**Urgent outpatient care** - implies within the period of the insurance Policy, indemnify of urgent ambulatory treatment costs incurred by the insured at a licensed medical institution with the maximum limit in the amount of USD/EURO 5,000 .
გადაუდებელი სტომატოლოგიური მომსახურება - ითვალისწინებს გადაუდებელი სტომატოლოგიური მომსახურების (კბილის ექსტრაქცია, გაუტკივარება) ხარჯების დაფინანსებას ჯამური ლიმიტით 500 (აშშ დოლარი/ევრო)	**Urgent dental care** - implies, within the period of the Insurance Policy, indemnity of urgent dental (extraction, anesthesia of teeth) treatment costs incurred by the insured at a licensed dental clinic with service the maximum limit in the amount of 500 USD/EURO.
ავადმყოფის ან გვამის (თუ ნებადართულია ექიმის მიერ) რეპატრიაცია - ითვალისწინებს დაზღვეულის ან გარდაცვალების შემთხვევაში მისი გვამის რეპატრიაციის ხარჯების ანაზღაურებას. მაქსიმალური ლიმიტი 5,000 აშშ დოლარი/ევრო.	**Patient or corpse** (if authorized by doctor) repatriation - implies, within the period of the Insurance Policy, the costs of repatriation of an insured or corpse with the maximum limit in the amount of 5,000 USD/EURO.
სასწრაფო სამედიცინო დახმარების ბრიგადის გამოძახება/მომსახურება - ითვალისწინებს, ლიცენზირებულ სასწრაფო სამედიცინო გადაუდებელი მომსახურების ხარჯების დაფინანსებას ჯამური ლიმიტით 500 (აშშ დოლარი/ევრო).	**Emergency ambulance (call-out/service)**- covers the costs of emergency medical services provided by a licensed ambulance provider, up to a total limit of USD/EUR 500
გადაუდებელი ოფთალმოლოგიური მომსახურება - ითვალისწინებს ლიცენზირებულ სამედიცინო დაწესებულებაში დაზღვეულის სხეულის დაზიანებით მიღებული თვალის გადაუდებელი მკურნალობის ხარჯების ანაზღაურებას მაქსიმალური ლიმიტი 1,000 აშშ დოლარი/ევროს ოდენობით.	**Urgent ophthalmologic care** - implies, within the period of the Insurance Policy, indemnity of urgent treatment costs incurred by bodily harm by the Insured at a licensed medical institution within the maximum limit in the amount of 1,000 USD/EURO.
ფრანშიზა - ზარალის ნაწილი, რომელიც აკლდება სადაზღვევო ანაზღაურებას და იფარება დაზღვეულის მიერ. ფრანშიზის მოცულობა შეადგენს 70 ევრო/დოლარი თითოეულ შემთხვევაზე.	**Deductible** - a part of the loss that is deducted from the insurance coverage and covered by the Insured. The amount of the deductible is 70 EURO/USD for each case.

2. ბარგის დაზღვევა / Baggage Insurance

მომსახურება, სახეობა	ქველიმიტი/Sublimit/ USD/EURO	Service
ბარგის დაგვიანება	150	Baggage delay
ბარგის დაკარგვა	500	Baggage loss

3. ფრენის დაზღვევა / Flight Insurance

მომსახურება, სახეობა	ქველიმიტი/Sublimit/ USD/EURO	Service
ფრენის შეფერხება/რეისის გადადება	200	Flight Delay
მოგზაურობის გაუქმების დაზღვევა	1 000	Trip Cancellation

ბარგის დაზღვევისა და ფრენის დაზღვევის ფარგლებში გათვალისწინებულ დაფარვებზე ფრანშიზა არ ვრცელდება.

The deductible shall not apply to the coverages provided under Baggage Insurance and Flight Insurance.

4. COVID-19-თან დაკავშირებული მომსახურება / COVID-19 related services

მომსახურება, სახეობა/ Service	ქველიმიტი/Sublimit/ USD/EURO
COVID-19–თან დაკავშირებული მომსახურება ამბულატორიული და ჰოსპიტალური მომსახურება inpatient and out patient treatment	პოლისში მითითებული შესაბამისი სერვისის პირობების და ლიმიტის გათვალისწინებით; According to medical conditions (in view of policy provisions);
სადაზღვევო თანხა/Insurance amount	USD/EURO 30,000.00

COVID-19-თან დაკავშირებული მომსახურების დაფარვები ძალაშია მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ პოლისში მონიშნულია COVID-19-თან დაკავშირებული მომსახურების შესაბამისი ველები

COVID-19 service coverage is only valid if the relevant COVID-19-related service fields are marked in the policy.

5. საზღვარგარეთ მოგზაურთა საყურადღებოდ!

5. For those traveling abroad!

პოლისის პირობებზე ელექტრონული წესით თანხმობით ან/და პოლისის შეძენისას მზღვეველის მიერ ავტორიზებული პირისთვის ინფორმაციის მიწოდებითა და სადაზღვევო პრემიის გადახდით, თქვენ ადასტურებთ თანხმობას წინამდებარე დოკუმენტით განსაზღვრულ პირობებზე.

By electronically accepting the terms of the Policy and/or by providing information to a person authorized by the Insurer and paying the insurance premium when purchasing the Policy, you confirm your acceptance of the terms and conditions set forth in this document.

პერსონალური მონაცემების, მათ შორის განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემების, დამუშავების პირობები განსაზღვრულია წინამდებარე დოკუმენტის დასკვნით ნაწილში - „პერსონალურ მონაცემთა დამუშავება და დაზღვეულის თანხმობა", რომელიც ხელშეკრულების განუყოფელი ნაწილია.

The terms governing the processing of personal data, including special categories of personal data are set out in the final section of this document, entitled "Personal Data Processing and the Insured's Consent", which forms an integral part of the contract.

ნებისმიერი შეკითხვისა და სადაზღვევო შემთხვევისას, დაგვიკავშირდით სს „სადაზღვევო კომპანია უნისონის“ ცხელ ხაზზე: +995 322 991 991 ან მოგვწერეთ ელ.ფოსტაზე hotline@unison.ge

For any question and insurance case, please call us on the hotline of the Insurance Company Unison: +995 322 991 991 or send us e-mail at hotline@unison.ge

6. ტერმინთა განმარტება

მზღვეველი - სს „სადაზღვევო კომპანია უნისონი“;

დამზღვევი - პირი, რომელიც წინამდებარე პირობების საფუძველზე აფორმებს დაზღვევის ხელშეკრულებას მზღვეველთან და იხდის შესაბამის სადაზღვევო პრემიას.

დაზღვეული - პოლისში მითითებულ ტერიტორიაზე დროებით მყოფი პირი, რომელიც მოგზაურობს არჩეულ ქვეყნ(ებ)ის ტერიტორიაზე საქმიანი და/ან ტურისტული მიზნით;

სადაზღვევო პოლისი - განხორციელებული დაზღვევის დამადასტურებელი ელექტრონული დოკუმენტი, რომელიც დაზღვეულს, მისი მიღების შემდგომ, აძლევს უფლებას სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას მოითხოვოს სადაზღვევო ანაზღაურება, სადაზღვევო პოლისით გათვალისწინებული პირობებითა და ოდენობით;

დაზღვევის მოქმედება - განისაზღვრება სადაზღვევო პოლისით. მზღვეველის მიერ ანაზღაურდება წინამდებარე პირობებით ან/და პოლისით და საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული მოთხოვნებისა და გამონაკლისების გათვალისწინებით მხოლოდ სადაზღვევო პერიოდში მომხდარი და მხოლოდ პოლისში მითითებულ ტერიტორიაზე დამდგარი სადაზღვევო შემთხვევები სადაზღვევო პერიოდის ამოწურვამდე.

სადაზღვევო პრემია - დამზღვევის/დაზღვეულის მიერ მზღვეველისათვის გადასახდელი სადაზღვევო პოლისის ღირებულება. სადაზღვევო პრემიის გადახდა ხდება ერთჯერადად, პოლისის გაცემისას.

სადაზღვევო თანხა - სადაზღვევო პოლისში მითითებული ანაზღაურების მაქსიმალური ლიმიტი, რომლის ფარგლებშიც მზღვეველი, სადაზღვევო შემთხვევების რაოდენობისა და ოდენობის მიუხედავად, კისრულობს ვალდებულებას აუნაზღაუროს დაზღვეულს წინამდებარე სადაზღვევო პირობებით და პოლისით განსაზღვრული მომსახურების ხარჯები.

6. Definitions

Insurer - JSC Insurance Company UNISON;

Policyholder - A person or entity that enters into an insurance contract with the Insurer under these Terms and Conditions and pays the applicable insurance premium.

Insured - A person temporarily staying in the territory indicated in the policy, traveling to the territory of the chosen country (ies) for business and / or tourist purposes;

Insurance Policy - an electronic document certifying the insurance, which, after its receipt, entitles the Insured to request insurance reimbursement in the event of an insured event, under the terms and within the limits provided by the Insurance Policy;

Insurance Validity – shall be determined by the Insurance Policy. Subject to the requirements and exclusions set out in these Terms and Conditions and/or the Policy and under the legislation of Georgia, the Insurer shall reimburse only insured events occurring during the insurance period and within the territory specified in the Policy, before the expiry of the insurance period.

Insurance Premium – the cost of the Insurance Policy payable to the Insurer by the Policyholder/Insured. The insurance premium shall be paid in a single payment upon issuance of the Policy.

Sum Insured - the maximum limit of reimbursement indicated in the insurance policy, within which the Insurer, regardless of the number and amount of insured events, undertakes to reimburse the Insured for the costs of services specified in this Insurance Terms and Policies.

სადაზღვევო შემთხვევა - სადაზღვევო შემთხვევად ჩაითვლება და მზღვეველი ანაზღაურებს წინასწარ ცნობილი ქვეყნის ტერიტორიაზე დროებით ყოფნის და/ან მოგზაურობისას სადაზღვევო პერიოდის განმავლობაში უეცარი ავადმყოფობით ან უბედური შემთხვევით გამოწვეული სამედიცინო მომსახურების და რეპატრიაციის ხარჯებს, აგრეთვე წინამდებარე პირობებით გათვალისწინებული დამატებითი სადაზღვევო დაფარვების ფარგლებში განსაზღვრული მოვლენების დადგომა.

Insured Event – An insured event shall be deemed to have occurred, and the Insurer shall reimburse the costs of medical services and repatriation arising from a sudden illness or accident during the insurance period, while the Insured is temporarily staying and/or traveling within the territory of a country specified in advance, as well as upon the occurrence of events defined under the additional insurance coverages provided for in these Terms and Conditions.

სადაზღვევო პერიოდი - სადაზღვევო პოლისში მითითებული პერიოდი.

ამასთან სადაზღვევო პერიოდი არ უნდა იყოს მოგზაურობაზე ნაკლები ვადის. ვადის გახანგრძლივება მზღვეველის მიერ არ განიხილება.

Insurance period - the period specified in the Insurance Policy. The insurance period shall not be shorter than the duration of the trip. Extension of the period shall not be considered by the Insurer.

ფრანშიზა - ზარალის ნაწილი, რომელიც აკლდება სადაზღვევო ანაზღაურებას და იფარება დაზღვეულის მიერ. ფრანშიზის მოცულობა შეადგენს 70 ევრო/დოლარი თითოეულ შემთხვევაზე. ბარგის დაზღვევისა და ფრენის დაზღვევის ფარგლებში გათვალისწინებულ დაფარვებზე ფრანშიზა არ ვრცელდება.

Deductible - the portion of the loss that is deducted from the insurance benefit and is borne by the Insured. The deductible shall be EUR/USD 70 per insured event. The deductible shall not apply to the coverages provided under Baggage Insurance and Flight Insurance.

გამომუშავებული სადაზღვევო პრემია - სადაზღვევო პერიოდის განმავლობაში კონკრეტული თარიღისთვის, სადაზღვევო პერიოდის დასაწყისიდან აღნიშნულ თარიღამდე გასული დროის მონაკვეთის პროპორციულად განსაზღვრული სადაზღვევო პრემიის ოდენობა.

Earned Insurance Premium – the portion of the insurance premium calculated proportionally to the period elapsed from the commencement of the insurance period up to a specified date within that period.

გამომუშავებელი სადაზღვევო პრემია - სადაზღვევო პერიოდის განმავლობაში კონკრეტული თარიღისთვის, სადაზღვევო პერიოდის ამოწურვამდე დარჩენილი დროის მონაკვეთის პროპორციული პრემიის ოდენობა;

Unearned Insurance Premium - The portion of the insurance premium calculated proportionally to the period remaining until the expiry of the insurance period, as of a specified date during that period.

უბედური შემთხვევა - გულისხმობს გარეშე ძალის (ფიზიკური, მექანიკური, თერმული, ქიმიური) უეცარი ზემოქმედების შედეგად ჯანმრთელობის მდგომარეობის მკვეთრი გაუარესებას/ გარდაცვალებას.

Accident - breakdown in health or death as a result of a sudden impact of an external force (physical, mechanical, thermal, chemical).

რეისი - გულისხმობს ავიაგადაყვანას, რომლის პარამეტრები (ავიაგადამზიდველი, ნომერი, მარშრუტი, თარიღი და დრო) მითითებულია დაზღვეულის ელექტრონულ ბილეთში, დაზღვევის ხელშეკრულებაში (პოლისში) ან ჩასაჯდომ ტალონში, ან ავიაგადამზიდველის ცნობაში;

Flight - means air transportation, the details of which (air carrier, flight number, route, date and time) are specified in the Insured's electronic ticket, insurance contract (policy), boarding pass, or in a confirmation issued by the air carrier.

სადაზღვევო შემთხვევას არ წარმოადგენს დაზღვეულის გადაყვანის შეფერხება იმ შემთხვევაში, თუ ავიაგადამზიდველმა ან ტურ ოპერატორმა დაზღვეულს შეატყობინა რეისის შეფერხების და/ან გაუქმების შესახებ დაზღვევის ვადის დაწყებამდე. ასევე არ განიხილება სადაზღვევო შემთხვევად დაზღვეულის დაგვიანება სატრანსფერო (სატრანზიტო) რეისზე წინა ან მის წინა ერთ-ერთი რეისის შეფერხების ან გაუქმების შემთხვევაში.

A delay in the transportation of the Insured shall not be considered an insured event if, prior to the commencement of the insurance period, the air carrier or tour operator informed the Insured of a flight delay and/or of the cancellation of the flight. Likewise, the Insured's failure to catch a connecting (transit) flight due to the delay or cancellation of the preceding flight or any earlier flight shall not be considered an insured event.

ფრენის შეფერხება/რეისის გადადება - მდგომარეობა, როდესაც დაზღვეულის დადასტურებული რეისი ვერ სრულდება დაგეგმილ დროს და დაზღვეულის ფაქტობრივი გამგზავრება იმავე ან შემცვლელი რეისით ხდება თავდაპირველად დაგეგმილი გამგზავრების დროიდან არანაკლებ 12 (თორმეტი) სრული საათის შემდეგ. 12 სრულ საათზე ნაკლები ხანგრძლივობის შეფერხება წინამდებარე პირობების მიზნებისთვის არ განიხილება ფრენის შეფერხებად და არ წარმოადგენს სადაზღვევო შემთხვევას.

Flight Delay / Flight Postponement - situation where the Insured's confirmed flight does not operate at the scheduled time and the Insured's actual departure on the same or a replacement flight occurs at least 12 (twelve) full hours after the originally scheduled departure time. A delay of less than 12 (twelve) full hours shall not be considered a Flight Delay for the purposes of these Terms and Conditions and shall not constitute an insured event.

რეისის გაუქმება: ავიაგადამზიდველის მიერ კონკრეტული დაგეგმილი რეისის არშესრულება. თუ დაზღვეული აგრძელებს მგზავრობას ავიაგადამზიდველის მიერ უზრუნველყოფილი შეცვლილი მოცემულობით, საწყისი ფრენის განსაზღვრული დროიდან არანაკლებ 12 სრული საათის შემდეგ, აღნიშნული მოიაზრება როგორც ფრენის შეფერხება და არა გაუქმება.

Flight Cancellation - the non-operation of a specific scheduled flight by the air carrier. If the Insured continues the journey under alternative arrangements provided by the air carrier no earlier than 12 full hours after the originally scheduled departure time, such event shall be treated as a Flight Delay rather than a Flight Cancellation.

მოგზაურობის გაუქმება: დაზღვეულის მიერ დაგეგმილი მოგზაურობის არდაწყება/შეწყვეტა წინამდებარე პირობებით განსაზღვრული მიზეზის გამო. ავიაკომპანიის მიერ რეისის გაუქმება არ გულისხმობს მოგზაურობის შეწყვეტას.

Trip Cancellation - The Insured's failure to commence or discontinuation of the planned trip due to a reason specified in these Terms and Conditions. Cancellation of a flight by the airline shall not constitute discontinuation of the trip.

შეფერხების ხანგრძლივობა: განისაზღვრება დაგეგმილ და ფაქტობრივ გამგზავრების დროს შორის გასული სრული საათების მიხედვით.

Duration of Delay - shall be determined based on the number of full hours elapsed between the scheduled departure time and the actual departure time.

თუ მგზავრობა მოიცავს გადაჯდომას და ამის შედეგად შეფერხება გავლენას ახდენს საბოლოო დანიშნულების ადგილზე ჩასვლის დროზე, აღნიშნული არ იფარება ფრენის შეფერხების პირობით.

If the journey includes a connecting flight and the resulting delay affects the arrival time at the final destination, such delay shall not be covered under the Flight Delay coverage.

ვალუტა - სადაზღვევო ლიმიტების განსაზღვრა, ასევე სადაზღვევო ანაზღაურების გაცემა ხდება სადაზღვევო პოლისით განსაზღვრული ვალუტის მიხედვით.

Currency – Insurance limits shall be determined and insurance benefits shall be paid in the currency specified in the Insurance Policy.

ოჯახის წევრი - მოგზაურობის გაუქმების მიზნებისთვის ოჯახის წევრად ითვლება: დედა, მამა, პაპა, ბებია, მეუღლე, არარეგისტრირებულ ქორწინებაში მყოფი პარი, შვილი (გერი), მინდობით აღსაზრდელი, მინდობით აღმზრდელი (დედობილი, მამობილი), დედინაცვალი, მამინაცვალი, შვილიშვილი, და, ძმა, მეუღლის მშობელი, არარეგისტრირებულ ქორწინებაში მყოფი პირის მშობელი, შვილის მეუღლე (მათ შორის, არარეგისტრირებულ ქორწინებაში მყოფი) აგრეთვე პირები, რომლებიც მუდმივად ეწევიან ერთიან საოჯახო მეურნეობას.

Family Member – for the purposes of Trip Cancellation coverage, a family member shall mean: the Insured's mother, father, grandfather, grandmother, spouse, unmarried partner, child (including a stepchild), foster child, foster parent, stepmother, stepfather, grandchild, sister, brother, parent of the Insured's spouse, parent of the Insured's unmarried partner, spouse or unmarried partner of the Insured's child, as well as any person who permanently shares a common household with the Insured.

მულტი პოლისი - პოლისი მრავალჯერადი მგზავრობისთვის, რომელიც ფარავს საქართველოს საზღვრებს გარეთ ყოფნის ჯამურ ვადას პოლისში მითითებული დღეების მიხედვით

MULTI TRIP TRAVEL INSURANCE POLICY - One single policy which covers several trips abroad outside of Georgia, with total number of days staying abroad, specified into the policy;

დაზღვეულის ქმედება შემთხვევის დადგომისას - საზღვარგარეთ გადაუდებელი სამედიცინო დახმარების საჭიროების შემთხვევაში, დაუკავშირდით ასისტანსს (შპს ჯეო ასისტანსი):

Insured's actions in the event of an accident –

In case of emergency medical assistance abroad, contact Assistance (Geo Assistance LLC):

+995 599156969; +995 32 2 120 033

Travel@geoassistance.ge | www.geoassistance.ge

+995 599156969; +995 32 2 120 033

Travel@geoassistance.ge | www.geoassistance.ge

7. პოლისის პირობები განისაზღვრება შემდეგნაირად:

7. Policy conditions are as follows:

ა) მზღვეველი სადაზღვევო ანაზღაურებას გასცემს წინამდებარე პირობების შესაბამისად მხოლოდ გადაუდებელი სამედიცინო მომსახურების საჭიროების შემთხვევაში.

a) Insurer pays insurance indemnification in accordance with the present terms only for urgent medical treatment.

ავადმყოფის ევაკუაცია (თუ ნებადართულია ექიმის მიერ) ან გვამის რეპატრიაცია - ითვალისწინებს, სადაზღვევო პოლისის მოქმედების პერიოდში, პოლისით მითითებულ ქვეყნებში ყოფნისას, უბედური შემთხვევის დადგომისას დაზღვეულის ტრანსპორტირების ან გვამის რეპატრიაციის ხარჯების ანაზღაურებას.

Patient evacuation (if permitted by the doctor) or corpse repatriation- includes reimbursement of transportation or corpse repatriation expenses caused by an accident, until the last day of the insurance policy, within the territory defined by this Policy.

ბ) დაზღვეული სამედიცინო მომსახურების მისაღებად მიაკითხავს ჯეო ასისტანსის მიერ მითითებულ კლინიკას და გადაიხდის სამედიცინო მომსახურების ღირებულების ფრანშიზის ფარგლებში თუ სამედიცინო ჩვენება აკმაყოფილებს პოლისით განსაზღვრულ პირობებს, სამედიცინო მომსახურების დარჩენილ ღირებულებას დაფარავს მზღვეველი, პოლისით გათვალისწინებული ლიმიტის ფარგლებში.

b) To get medical service, insured shall visit medical clinic according to Geo Assistance guidance and pay medical service fee within the limit of franchise If the diagnosis is under the coverage of the policy, insurer will pay the rest of the service.

გ) დაზღვეულის მიერ სამედიცინო მომსახურების ხარჯების დამოუკიდებლად დაფარვის შემთხვევაში (თუ შეტყობინება მიღებულია მზღვეველის მიერ) სადაზღვევო ანაზღაურება გაიცემა შესაბამისი სამედიცინო დაწესებულების მიერ დამოწმებული ფინანსური დოკუმენტაციის საფუძველზე, რომელიც დაზღვეულმა უნდა წარმოადგინოს პოლისის მოქმედების ვადის გასვლიდან/ საქართველოში დაბრუნებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში; დოკუმენტაციის წარდგენის ვადის გადაცილება თავისთავად არ წარმოადგენს სადაზღვევო ანაზღაურებაზე უარის თქმის საფუძველს, თუ აღნიშნულმა გარემოებამ მზღვეველს ხელი არ შეუშალა სადაზღვევო შემთხვევის არსებითი გარემოებების დადგენასა და შემოწმებაში.

c) In case Insured pays medical costs on his own (if notice has been received duly by Insurer), the insurance indemnification shall be paid based on the basis of financial documents certified by the relevant healthcare provider which the Insured shall present within 15 days after returning in Georgia or within 15 calendar days after the expiration of the policy. Failure to comply with the deadline for submitting documentation shall not, in itself, constitute grounds for denying insurance indemnity, provided that such failure has not prevented the Insurer from establishing and verifying the material circumstances of the insured event.

იმ შემთხვევაში, თუ დოკუმენტაციის წარდგენა ობიექტურად შეუძლებელი იყო, შესაბამისი ვადა გაგრძელებულად ჩაითვლება აღნიშნული გარემოების აღმოფხვრამდე.

Where it was objectively impossible to submit the required documentation, the relevant deadline shall be deemed extended until the circumstances preventing such submission have ceased to exist.

დ) დაზღვეული/დამზღვევი ვალდებულია სადაზღვევო შემთხვევის დადგომის შესახებ აცნობოს მზღვეველს შემთხვევის დადგომიდან არაუგვიანეს 24 (ოცდაოთხი) საათისა.

d) The Insured/Policyholder shall notify the Insurer of the occurrence of an insured event no later than 24 (twenty-four) hours from the occurrence of such event.

შეტყობინების ვადის გადაცილება თავისთავად არ წარმოადგენს სადაზღვევო ანაზღაურებაზე უარის თქმის საფუძველს, თუ აღნიშნულმა გარემოებამ არსებითად არ დაარღვია მზღვეველის ინტერესები, მათ შორის ხელი არ შეუშალა სადაზღვევო შემთხვევის არსებითი გარემოებების დადგენასა და შემოწმებაში.

Failure to comply with the notification deadline shall not, in itself, constitute grounds for denying insurance indemnity, unless such failure has materially prejudiced the Insurer's interests, including by preventing the Insurer from establishing and verifying the material circumstances of the insured event.

იმ შემთხვევაში, თუ შეტყობინების წარდგენა ობიექტურად შეუძლებელი იყო, შესაბამისი ვადა გაგრძელებულად ჩაითვლება აღნიშნული გარემოების აღმოფხვრამდე.

Where it was objectively impossible to submit the notification, the relevant deadline shall be deemed extended until the circumstances preventing such notification have ceased to exist.

სადაზღვევო ანაზღაურების მისაღებად განაცხადთან ერთად დაზღვეულმა უნდა წარმოადგინოს:

Along with the claim, the insured must present:

1. სადაზღვევო პოლისი

1. Insurance policy

2. სამედიცინო დოკუმენტაცია, სადაც მითითებული იქნება დაზღვეულის გვარი, სახელი, დიაგნოზი (ICD-10 კოდებით); გაწეული სამედიცინო დახმარება, მკურნალობა;

2. Medical Documentation, in which the name and surname of Insured, diagnoses, (ICD-10 codes) provided medical services and treatment are indicated;

3. უბედური შემთხვევისას – ოფიციალური ცნობა;

3. Official document evidencing the accident;

4. ექიმების და სამედიცინო დაწესებულების ფინანსური დოკუმენტაციის ორიგინალები ან დუბლიკატები;

4. Original or copy of financial documentation (bills) of doctors and medical institutions,

5. მზღვეველის მოთხოვნისას დაზღვეული ვალდებულია წარადგინოს საკუთარი პასპორტი, სადაც აღნიშნული იქნება საზღვრის გადაკვეთა/გადმოკვეთის თარიღი;

5. Upon the Insurer's request, the Insured shall submit his/her passport indicating the date(s) of crossing the border;

6. ცხედრის რეპატრიაციის შემთხვევაში მზღვეველს უნდა მიეწოდოს ცნობა გარდაცვალების შესახებ, ექიმის დასკვნა გარდაცვალების გამომწვევი მიზეზის შესახებ და ანგარიშების ორიგინალები ან დუბლიკატები.

6. In case of repatriation, the Insurer must be provided with a notice on death, doctor's report on death causes and original or copy of relevant bills.

7. მზღვეველი უფლებამოსილია, სადაზღვევო შემთხვევის გარემოებების, სადაზღვევო დაფარვის არსებობისა და სადაზღვევო ანაზღაურების ოდენობის დასადგენად, მოითხოვოს დამატებითი დოკუმენტაცია და ინფორმაცია, რომელიც აუცილებელია აღნიშნული საკითხების შესწავლისა და შეფასებისთვის.

7. The Insurer shall be entitled to request additional documentation and information necessary for examining and assessing the circumstances of the insured event, determining the existence of insurance coverage, and establishing the amount of insurance indemnity.

დაზღვეული/დამზღვევი ან სხვა უფლებამოსილი პირი ვალდებულია მოთხოვნილი დოკუმენტაცია წარადგინოს მზღვეველის წერილობით მოთხოვნაში მითითებულ ვადაში, ხოლო ასეთი ვადის არარსებობის შემთხვევაში — მოთხოვნის მიღებიდან 15 (თხუთმეტი) კალენდარული დღის განმავლობაში.

The Insured/Policyholder or any other authorized person shall submit the requested documentation within the period specified in the Insurer's written request or, if no such period is specified, within 15 (fifteen) calendar days from the date of receipt of the request.

8. მზღვეველს განსაკუთრებულ შემთხვევებში შეუძლია სადაზღვევო ანაზღაურება გასცეს ელექტრონული ფორმით წარმოდგენილ ზემოთ ჩამოთვლილი დოკუმენტაციის საფუძველზე, იმ პირობით, რომ პოლისში მითითებულ ვადებში მოხდება ორიგინალი დოკუმენტაციის მოწოდება დაზღვეულის მხრიდან.

8. Insurer can provide disbursement for special cases based on the above-mentioned documents that are presented in electronic forms. If this case occurs, insured is obliged to present original documents according to dates indicated by this policy.

8. დავების გადაჭრა

8. Dispute resolution

წინამდებარე დაზღვევა რეგულირდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით.

ნებისმიერი დავა მხარეთა შორის გადაწყდება ურთიერთმოლაპარაკებისა და შეთანხმების მიღწევის გზით. შეუთანხმებლობის შემთხვევაში დავას განიხილავს თბილისის საქალაქო სასამართლო მზღვეველის ადგილსამყოფელის მიხედვით.

This insurance shall be governed by the applicable legislation of Georgia.

Any dispute between the Parties shall be resolved through negotiation and mutual agreement. In the event that no agreement is reached, the dispute shall be considered by Tbilisi City Court according to the location of the Insurer.

9. რა იფარება ამ პოლისით:

9. What policy covers:

წინამდებარე პირობები და შესაბამისი პოლისი ითვალისწინებს გადაუდებელი შემთხვევების სამედიცინო ხარჯების ანაზღაურებას პირის მხოლოდ სამოგზაურო (ტურისტული/მივლინება) მიზნით მოგზაურობისას, თუ სხვაგვარად მითითებული არ არის პოლისში.

These Terms and Conditions and the applicable Policy provide for reimbursement of emergency medical expenses when travelling for tourism and/or business purposes, unless otherwise provided in the Policy.

ა) გადაუდებელი სტაციონარული მომსახურება - ითვალისწინებს, სადაზღვევო პოლისის მოქმედების პერიოდში, პოლისით მითითებულ ქვეყნებში ყოფნისას, ლიცენზირებულ სამედიცინო დაწესებულებაში დაზღვეულის გადაუდებელი სტაციონარული მკურნალობის ხარჯების ანაზღაურებას. მაქსიმალური ლიმიტით 30 000 აშშ დოლარი/ევრო და ქველიმიტით არაუმეტეს 1000 აშშ დოლარი/ევრო ერთ საწოლ დღეზე. (ფრანშიზის გათვალისწინებით);

a) Emergency inpatient care – implies, within the period of the Insurance Policy, indemnity of urgent stationary treatment costs incurred by the Insured at a licensed medical institution while staying in the country specified in the policy. The service will be covered under the maximum limit of 30 000 USD/EURO, but not more than 1000 USD/EURO per bed-day. (including deductible).

ბ) მკურნალობა რეანიმაციულ განყოფილებაში - მკურნალობა რეანიმაციულ განყოფილებაში - ითვალისწინებს ხარჯების ანაზღაურებას მაქსიმალური ლიმიტით 30 000 აშშ დოლარი/ევრო და ქველიმიტით არაუმეტეს 1000 აშშ დოლარი/ევრო ერთ საწოლ დღეზე. (ფრანშიზის გათვალისწინებით);

b) Treatment in the Intensive Care Unit - The service will be covered under the maximum limit of 30 000 USD/EURO, but not more than 1000 USD/EURO per bed-day. (including deductible).

გ) გადაუდებელი ამბულატორიული მომსახურება - ითვალისწინებს, სადაზღვევო პოლისის მოქმედების პერიოდში, პოლისში მითითებულ ქვეყნებში ყოფნისას, ლიცენზირებულ სამედიცინო დაწესებულებაში დაზღვეულის გადაუდებელი ამბულატორული მომსახურების ხარჯების ანაზღაურებას. მაქსიმალური ლიმიტი 5 000 აშშ დოლარი/ევრო (ფრანშიზის გათვალისწინებით).

c) Urgent outpatient care – implies within the period of the insurance Policy, indemnify of urgent ambulatory treatment costs incurred by the insured at a licensed medical institution while staying in the country specified in the policy with the maximum limit in the amount of 5000 USD/EURO (including deductible).

დ) გადაუდებელი სტომატოლოგიური მომსახურება (ექსტრაქცია, გაუტკივარება) - ითვალისწინებს, სადაზღვევო პოლისის მოქმედების პერიოდში, პოლისით მითითებულ ქვეყნებში ყოფნისას, ლიცენზირებულ სტომატოლოგიურ კლინიკაში დაზღვეულის გადაუდებელი სტომატოლოგიური მომსახურების (კბილის ექსტრაქცია, გაუტკივარება) ხარჯების დაფინანსებას, მაქსიმალური ლიმიტი 500 აშშ დოლარი/ევრო; (ფრანშიზის გათვალისწინებით);

d) Urgent dental care (extraction, anesthesia) – implies, within the period of the Insurance Policy, indemnity of urgent dental service (extraction, anesthesia of teeth) treatment costs incurred by the insured at a licensed dental clinic while staying in the country specified in the policy with the maximum limit in the amount of 500 USD/EURO (including deductible).

ე) გადაუდებელი ოფთალმოლოგიური მომსახურება - ითვალისწინებს, სადაზღვევო პოლისის მოქმედების პერიოდში, პოლისით მითითებულ ქვეყნებში ყოფნისას, ლიცენზირებულ სამედიცინო დაწესებულებაში დაზღვეულის სხეულის დაზიანებით მიღებული თვალის გადაუდებელი მკურნალობის ხარჯების ანაზღაურებას, მაქსიმალური ლიმიტი 1 000 აშშ დოლარი/ევრო(ფრანშიზის გათვალისწინებით);

e) Emergency Ophthalmologic Care - covers, during the validity period of the Insurance Policy and while the Insured is staying in the countries specified in the Policy, the costs of emergency treatment of an eye injury resulting from bodily injury to the Insured, received at a licensed medical institution, subject to a maximum limit of USD/EUR 1,000 (subject to the applicable deductible).

ვ) ავადმყოფის ევაკუაცია (თუ ნებადართულია ექიმის მიერ) ან გვამის რეპატრიაცია - ითვალისწინებს, სადაზღვევო პოლისის მოქმედების პერიოდში, პოლისით მითითებულ ქვეყნებში ყოფნისას, უბედური შემთხვევის დადგომისას დაზღვეულის ევაკუაციას ან გარდაცვალების შემთხვევაში მისი გვამის რეპატრიაციის ხარჯების ანაზღაურებას. მაქსიმალური ლიმიტი 5 000 აშშ დოლარი/ევრო (ფრანშიზის გათვალისწინებით).

f) Patient Evacuation (if authorized by a physician) or Repatriation of Mortal Remains - covers, during the validity period of the Insurance Policy and while the Insured is staying in the countries specified in the Policy, the costs of transporting the Insured in the event of an accident or the costs of repatriating the Insured's mortal remains. The maximum limit is USD/EUR 5,000 (subject to the applicable deductible).

ზ) გადაუდებელი სასწრაფო სამედიცინო დახმარება გულისხმობს გადაუდებელ სამედიცინო მომსახურებას, იმ შემთხვევებზე რომლებმაც შეიძლება გამოიწვიონ ჯანმრთელობის შემდგომი მწვავე გაუარესება ან ლეტალური შედეგი, თუ არ მოხდა დაუყოვნებელი სამედიცინო ჩარევა. მაქსიმალური ლიმიტი 500 აშშ დოლარი/ევრო (ფრანშიზის გათვალისწინებით);

g) Emergency Medical Care - covers emergency medical services required where the Insured's condition may result in acute deterioration of health or death unless immediate medical intervention is provided. The maximum limit is USD/EUR 500 (subject to the applicable deductible).

10. COVID-19–თან დაკავშირებული მომსახურება

10. COVID-19 related services

სადაზღვევო შემთხვევად ჩაითვლება და მზღვეველი აანაზღაურებს დადასტურებული COVID-19–თან დაკავშირებულ შემდეგ მომსახურებას:

The Insurer will reimburse the following services related to Confirmed COVID-19

საზღვარგარეთ (წინასწარ განსაზღვრულ ქვეყანაში) ყოფნისას COVID-19–თან დაკავშირებული ტესტირებას (სამედიცინო ჩვენების შესაბამისად) და ამბულატორიული და ჰოსპიტალური მომსახურების ხარჯებს პოლისში მითითებული პირობების გათვალისწინებით, იმ დროის შუალედში, რომლის განმავლობაშიც მოქმედებს დაზღვევა.

COVID-19-related testing (According to medical indications) outpatient and inpatient costs during your stay abroad (in a pre-defined country) subject to the conditions set out in the policy, for the duration of the insurance period.

დამზღვევი/დაზღვეული ვალდებულია მზღვეველს მიაწოდოს ყველა საჭირო და ზუსტი ინფორმაცია სადაზღვევო შემთხვევის ფაქტის აღიარებისა და სადაზღვევო ანაზღაურების ოდენობის დადგენის მიზნით.

The Policyholder/Insured is obliged to provide the insurer with all the necessary and accurate information in order to acknowledge the fact of the insured event and to determine the amount of the insurance indemnity.

დაზღვეული, წინამდებარე ხელშეკრულების/პოლისის გაფორმებით, მზღვეველს ანიჭებს უფლებამოსილებას, სადაზღვევო შემთხვევის შესწავლისა და სადაზღვევო ანაზღაურების საკითხის გადაწყვეტის მიზნით, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მესამე პირებისგან (ექიმები, სამედიცინო დაწესებულებები, სატრანსპორტო ორგანიზაციები და სხვა შესაბამისი პირები) მოიპოვოს მხოლოდ აღნიშნული მიზნისთვის აუცილებელი ინფორმაცია, მათ შორის ჯანმრთელობის შესახებ მონაცემები.

By entering into this Agreement/Policy, the Insured authorizes the Insurer, for the purposes of investigating an insured event and determining the entitlement to insurance indemnity, to obtain, in accordance with the procedures established by the legislation of Georgia, only the information necessary for such purposes from third parties (including physicians, medical institutions, transport organizations, and other relevant persons), including data concerning the Insured's health.

მოსაპოვებელი ინფორმაცია შეიძლება მოიცავდეს დაზღვეულის ჯანმრთელობის მდგომარეობის, დიაგნოზის, ჩატარებული გამოკვლევებისა და მკურნალობის, გაწეული სამედიცინო მომსახურებისა და შესაბამისი ხარჯების შესახებ მონაცემებს, აგრეთვე სადაზღვევო შემთხვევის გარემოებებისა და ზიანის ოდენობის დასადგენად აუცილებელ სხვა ინფორმაციას.	The information to be obtained may include data concerning the Insured's health condition, diagnosis, medical examinations and treatments performed, medical services provided and related expenses, as well as any other information necessary to establish the circumstances of the insured event and determine the amount of loss.
მოპოვებული ინფორმაცია ინახება მხოლოდ იმ ვადით, რომელიც აუცილებელია მისი დამუშავების მიზნების მისაღწევად ან/და გათვალისწინებულია საქართველოს კანონმდებლობითა და მის შესაბამისად დადგენილი კომპანიის შიდა რეგულაციებით.	The information obtained shall be retained only for the period necessary to achieve the purposes of its processing and/or for the period prescribed by the legislation of Georgia and the Company's internal regulations adopted in accordance therewith.
მზღვეველი თავისუფლდება ყოველგვარი ანაზღაურების ვალდებულებისაგან დაზღვეულის მიერ რაიმე მნიშვნელოვანი ფაქტის მცდარად წარმოდგენის, არასწორი აღწერის ან დაფარვისა და ამ პარაგრაფში ჩამოთვლილ ვალდებულებათა დარღვევის შემთხვევაში.	The Insurer shall be released from any obligation to pay insurance benefits in the event of any misrepresentation, incorrect description or concealment of any material fact by the Insured, or breach of the obligations set out in this paragraph.
მზღვეველის მიერ ანაზღაურდება სადაზღვევო პოლისის მოქმედების ვადაში დამდგარი შემთხვევები მხოლოდ სადაზღვევო პერიოდის ვადის ამოწურვამდე. ვადის გახანგრძლივება მზღვეველის მიერ არ განიხილება.	The insurer will reimburse the cases established within the validity period of the insurance policy only before the expiration of the insurance period. Extension of term is not considered by the insurer.
ანაზღაურებას არ ექვემდებარება:	**The following are not subject to compensation :**
იზოლაციის ხარჯი, მათ შორის კოვიდ-სასტუმროში, სახელმწიფო საზღვრის კვეთისას და საზღვარგარეთ(წინასწარ განსაზღვრულ ქვეყნის ტერიტორიაზე) ყოფნისას წინასწარ განსაზღვრული კარანტინი,	Isolation costs, including pre-determined quarantine in a Covid hotel, when crossing the state border, and when abroad (in a pre-determined territory of the country),
სავალდებულო SARS-CoV-2-ზე ტესტირების სტანდარტული სქემა ;	Standard mandatory SARS-CoV-2 testing schedule ;
მზღვეველთან შეთანხმების გარეშე მიღებული მომსახურების ხარჯები;	Costs of services received without the approval of the insurer;
მომსახურება, რომელიც არ არის ტერმინთა განმარტებებში;	Services not provided for in the terms;
ამასთან 65 წლის ზემოთ პირებზე არ ვრცელდება COVID-19 თან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება.	However, those over the age of 65 are not reimbursed for COVID-19 costs.

11. გამონაკლისები:

11. Exclusions:

ამ დაზღვევით არ იფარება/არ ანაზღაურდება შემთხვევები რომლებიც გამოწვეულია:	This insurance shall not cover the events provoked by:

ა) დაზღვეულის კანონსაწინააღმდეგო ქმედებით, თვითდაშავებით, თვითმკვლელობით ან მათი მცდელობისას მიღებული დაზიანებებით;

a) Unlawful actions, intentional self-harm , suicide, or damages received through such attempts by the insured;

ბ) დაზღვეულის მიერ არააუცილებელ ხიფათში თავის ჩაგდებით (გარდა იმ შემთხვევებისა, როცა საქმე ეხება სხვისი სიცოცხლის გადარჩენას);

b) Willful exposure to danger (except in an attempt to save another person's life);

გ) სამოქალაქო ან სხვა სახელმწიფოსთან ომით, აჯანყებით, დემონსტრაციებით, ტერორისტული აქტებით ან საბოტაჟით, არეულობით ან მღელვარებით;

c) Civil war or the war with any other state, strike, demonstration, acts of terrorism or sabotage, civil commotion or insurrection;

დ) დაზღვეულის ქრონიკული დაავადებით ან მისი გამწვავებით;

d) Chronic diseases of the insured or complication of disease thereof;

ე) დაზღვეულის ორსულობით, მშობიარობით ან მათი გართულებით;

e) Pregnancy, delivery or complication thereof of the insured;

ვ) დაზღვეულის ალკოჰოლური, ნარკოტიკული, ფსიქოტროპული ან/და სხვა ტოქსიკური ნივთიერების ზემოქმედებით, აგრეთვე კვალიფიციური/კომპეტენტური ექიმის დაუნიშნავად მიღებული წამლების მომწამლავი ეფექტით;

f) Effect of use of alcohol, narcotic, psychotropic and/ or any other toxic substances effect taken without prescription of the competent physician;

ზ) ანაზღაურება არ გაიცემა, ასევე იმ შემთხვევაშიც თუ მზღვევლისათვის არ არის გადახდილი სადაზღვევო პრემია სრულად.

g) No indemnity will be paid if the insurance premium is not fully paid to the insurer.

თ) წინამდებარე პირობები და შესაბამისი პოლისი არ ითვალისწინებს - დაზღვევამდე არსებული დაავადებების მიზეზით გამოწვეული სამედიცინო მომსახურების (მათ შორის რეპატრიაციის) ხარჯების ანაზღაურებას, მიუხედავად იმისა აღნიშნული მიზეზი(ები) იყო თუ არა ცნობილი დაზღვეულისათვის პოლისის შეძენის მომენტისათვის.

h) These Terms and Conditions do not apply to reimbursement of medical expenses (including repatriation) for reasons of pre-existing medical conditions or diseases, regardless of whether the reason (s) were known to the insured at the time of purchase of the policy.

12. სტანდარტული გამონაკლისები

12. Standard Exemptions:

ა) მზღვეველი არ არის ვალდებული გადაიხადოს ანაზღაურება რაიმე დანაკარგზე, დაზიანებაზე, ხარჯზე ან დანახარჯზე, მიუხედავად მისი ბუნებისა, რომელიც პირდაპირ ან არაპირდაპირ გამოწვეულია ან რაიმე კავშირშია, ან შედეგად მოჰყვა ნებისმიერ ქვემოთ ჩამოთვლილს:

a) The Insurance Company is not liable to pay compensation for any loss, damage, expense or cost irrespective of its nature not directly or indirectly caused or related to or is consequent of any of the following:

1. ომს, საომარ მოქმედებას, უცხო ქვეყნის ჯარის შეჭრას (მიუხედავად იმისა ომი გამოცხადებულია თუ არა), სამოქალაქო ომს, ამბოხებას, სამოქალაქო უწესრიგობას, რევოლუციას, სამხედრო გადატრიალებას ან ხელისუფლების უზურპაციას; ან

1.War, armed activities, foreign forces occupation (despite the official declaration of war), civil war, riot, civil disorder, revolution, military overthrow or usurpation; or

2. ნებისმიერ ტერორისტულ აქტს.

2.Any terrorism act.

ბ) ამასთან პირი, რომელმაც ერთი და იგივე ინტერესი ერთდროულად რამდენიმე მზღვეველთან დააზღვია, მოვალეა ამის თაობაზე დაუყოვნებლივ აცნობოს თითოეულ მზღვეველს. შეტყობინებაში უნდა აღინიშნოს ყველა მზღვეველის ვინაობა და სადაზღვევო თანხის ოდენობა, ორმაგი დაზღვევის შემთხვევაში მხარეები მოქმედებენ საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად;

b) However, the person who has insured the same interest with several insurers at the same time shall immediately notify each insurer thereof. The notification shall state the identity of all insurers and the amount of insurance, in case of double insurance the parties shall act in accordance with the legislation of Georgia;

ასევე არ იფარება შემდეგი მომსახურება, მდგომარეობა და ხარჯები:

Insurance does not cover the following services, situations and expenses:

1. ქრონიკული დაავადებები და მათი გამწვავებები ან მოგზაურობამდე გამოვლენილი დაავადებები და მათი გართულებები, გარდა იმ შემთხვევებისა როდესაც დაზღვეულის სიცოცხლის გადასარჩენად გადაუდებელი სამედიცინო დახმარებაა საჭირო; ვაქცინაციის ხარჯები; მოგზაურობა რომელიც გამიზნულია სამედიცინო მკურნალობის ან კონსულტაციის მისაღებად;

1. Chronic diseases and their aggravations or the diseases discovered before the trip and their complications except for the cases when emergency care is needed for saving the life of insured; vaccination expenses; trip for medical treatment or consultations;

2. ყოველგვარი ხარჯები, გაწეული გადაუდებელ სამედიცინო ევაკუაციაზე, რომელიც წინასწარ იქნა დამოწმებული პოლისში მითითებული დახმარების გამწევი ცენტრის/ორგანიზაციის მიერ;

2. Any expense for emergency medical evacuation pre-confirmed by the center providing care as indicated in the policy;

3. ონკოლოგიური დაავადებების მკურნალობა.

3. Oncologic disease treatment.

4. გონებრივ, ფსიქიურ, ან ფსიქოსომატურ დარღვევებთან დაკავშირებული ნებისმიერი ხარჯები;

4. Any expenses related to mental, psychiatric or psychosomatic disorders;

5. ორსულობა, მშობიარობა და მათი შედეგები და გართულებები. ორსულობის პერიოდისათვის დამახასიათებელი ჩივილების მკურნალობა, ორსულობის გამო ქრონიკული დაავადებების მსვლელობის ცვლილებების ჩათვლით; მორიგი გამოკვლევები ორსულობის პერიოდში; ხელოვნური განაყოფიერება, ისევე როგორც უშვილობის მკურნალობა, კონტრაცეფციის ხარჯები და ორსულობის შეწყვეტა;

5. Pregnancy, childbirth and their consequences and complications; treatment of conditions characteristic of pregnancy, including changes in the course of chronic diseases due to pregnancy; routine examinations during pregnancy; artificial insemination, as well as infertility treatment, contraception expenses and termination of pregnancy.

6. სათვალეების, კონტაქტური ლინზების, კბილის პროთეზების, სმენის დამხმარე აპარატის შერჩევის ან მორგების ხარჯები; ორგანოთა ყოველგვარი ტრანსპლანტაცია, ფიზიკური ნაკლების და ანომალიების კოსმეტიკური ქირურგია, პროთეზირება, მაკორექტირებელი მოწყობილობები, და სამედიცინო სამარჯვები. გულ-სისხლძარღვთა სისტემაზე ქირურგიული ოპერაციის (აორტოკორონარული შუნტირება და სხვა) და ნეიროქირურგიული ოპერაციის ხარჯები და შემდგომი მკურნალობა.

6. Expenses for selection or fitting of eyeglasses, contact lenses, dental prostheses, hearing equipment; any transplantation of organs, cosmetic surgery, placing prosthesis, correcting equipment and medical equipment. Expenses of cardiovascular surgery (aortocoronary bypass grafting, etc.) and neurosurgery and subsequent treatment;

7. ფიზიოთერაპიის ხარჯები, რაიმე სახის ხანგრძლივი მკურნალობა და რეაბილიტაცია შემდეგ სამედიცინო დაწესებულებებში: მოხუცებულთა სახლი, სარეაბილიტაციო ცენტრი, ბალნეოლოგიური კურორტი, სანატორიუმი, არატრადიციული მეთოდებით მკურნალობა, ან სამედიცინო მომსახურება;

7. Physiotherapy expenses, any type of long-term treatment and rehabilitation in the medical institutions: elderly house, rehabilitation center, balneological resort, sanatorium, non-traditional treatment or medical services.

8. ვენერიული დაავადებებით და მათი მკურნალობით გამოწვეული ხარჯები; შიდს-ის და აივ ვირუსით გამოწვეული დაავადებების მკურნალობის ხარჯები; პარენტერალური მექანიზმით გადამდები ვირუსული ჰეპატიტების და მათი შედეგების მკურნალობა;

8. Sexually transmitted diseases and their treatment; HIV and AIDS-related diseases; virus hepatitis transmitted via parenteral mechanism and their consequences;

9. ალკოჰოლის ან ნარკოტიკული ნივთიერებების, სამედიცინო პრეპარატების ან სხვა ტოქსიური ნივთიერებების გამოყენებით გამოწვეული შემთხვევები;

9. Situations resulting from use of alcohol or drugs or medication or other toxic substances;

10. დაზღვეული პირის ნებისმიერი კრიმინალური მოქმედების დროს მომხდარი უბედური შემთხვევის შედეგად დაზიანების ან ავადმყოფობის მკურნალობის ხარჯები; ბირთვული ენერგიის წყაროს (ბირთვული რეაქციები, რადიაცია, დაბინძურება) ზემოქმედებით გამოწვეული ყველა სახის დაზიანება ან ხარჯები; ეპიდემიებით/პანდემიებით (გარდა COVID-19-თუ რისკის დაფარვა შეძენილია); გარემოს დაბინძურებით ან სტიქიური უბედურებით გამოწვეული ყველა სახის დაზიანება ან ხარჯები; თვითმფრინავზე ასვლის, თვითმფრინავიდან ჩამოსვლის ან მასში ყოფნისას მიღებული დაზიანება;

10. Criminal action of insured person, damage or treatment expenses due to an accident which took place during such action of the insured; any damage or expenses resulted from the damage by nuclear energy source (nuclear reactions, radiation and contamination); Epidemics / pandemics (except COVID-19 if risk coverage is acquired); environmental pollution or natural disaster related damages or costs; damage suffered during entering, leaving or travelling with the airplane.

11. ნებისმიერი დაზიანება, გამოწვეული გამიზნული თვითდაშვებით ან გაუმართლებელ ხიფათში თავის ჩაგდებით, თვითმკვლელობით ან მათი მცდელობით;

11. Any self-damage, damage caused by the insured putting himself/herself in unjustified danger, damage resulting from suicide or its attempt;

12. ოჯახის წევრის, ექიმბაშის ან არალიცენზირებული დაწესებულების მიერ გაწეული მკურნალობა და სამედიცინო მომსახურება;

12. Treatment and medical services provided by family member or non-licensed institution;

13. პროფესიონალური ექსტრემალური ან/და სამოყვარულო სპორტის სახეობებში მონაწილეობისას მომხდარი შემთხვევები, მაგალითად ავტომობილების, მოტოციკლეტების და ნებისმიერი სახის საერანსპორტო საშუალებების შეჯიბრი; სპორტის საჰაერო სახეობები, ალპინიზმი, სპორტის საბრძოლო სახეობები, სპელეოლოგია, აკვალანგით ყვინთვა და ა.შ

13. Accidents/Cases during professional extreme and/or unprofessional sport activities, such as car, motorcycle or other types of races; air sport, alpinism, fighting sports, speleology, diving etc.

14. ხარჯები, რომლებიც დაიფარება სხვა სადაზღვევო პოლისებით.

14. Expenses covered under other insurance policies.

13. განსაკუთრებული პირობები

სავალდებულო პირობაა, რომ პოლისის გაცემისას დაზღვეული პირი იმყოფებოდეს საქართველოში. ამ პირობის შეუსრულებლობის შემთხვევაში მზღვეველი იხსნის პოლისით ნაკისრ ყველა ვალდებულებას.

13. Special Conditions

When issuing a policy, it is indispensable for the insured to be to be in Georgia and in case of non-compliance with this condition the insurer shall be released from any liability under the Policy.

14. სადაზღვევო პოლისის მოქმედების დასრულება/შეწყვეტა

სადაზღვევო პოლისის მოქმედება შეწყდება:

ა) პოლისის მოქმედების ვადის გასვლის შემდეგ;

ბ) სადაზღვევო ლიმიტის ამოწურვის შემთხვევაში;

გ) მხარეთა წერილობითი შეთანხმების საფუძველზე;

დ) შესაძლებელია პოლისის მოქმედება შეწყდეს დამზღვევის ინიციატივით, წერილობითი შეტყობინების საფუძველზე, თუ დაზღვეული არ გამგზავრებულა პოლისში მითითებულ ქვეყანაში და არ არის დასრულებული პოლისის მოქმედების ვადა. ამ შემთხვევაში მზღვეველი უბრუნებს დაზღვეულს სადაზღვევო პრემიას მის მიერ გაწეული ხარჯების (იგულისხმება 2 ლარი)და გამომუშავებული პრემიის გამოკლებით;

ე) გამოუყენებელი ვიზის შემთხვევაში, მზღვეველი ასევე დაუბრუნებს დაზღვეულს სადაზღვევო პრემიას მის მიერ გაწეული ხარჯებისა (იგულისხმება 2 ლარი) და გაუქმების დღისთვის გამომუშავებული პრემიის გამოკლებით, მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ პოლისის შეწყვეტის მომენტისათვის დაზღვეული წარმოადგენს გამოუყენებელი ვიზის ასლს ან ორიგინალს. პრემიის დაბრუნება არ მოხდება თუ დამზღვევი შეატყობინებს მზღვეველს პოლისის ვადის გასვლის შემდეგ, რომ იგი არ გამგზავრებულა პოლისში მითითებულ ქვეყანაში.

14. Termination of Insurance Policy

The insurance policy shall be terminated in the following cases:

a) Upon expiration of the term thereof;

b) If the insured limit is expired;

c) On the basis of a written agreement between the parties;

d) The insured may terminate the insurance policy on its initiative by sending a written notice if the insured has not traveled to the country considered in the policy and the term of the policy is not completed. In this case, the insurer returns the insurance premium to the insured excluding expenses incurred by insurer (2 GEL) and the earned premium;

e) In the event of an unused visa, the Insurer shall also refund the insurance premium to the Insured, less the expenses incurred by the Insurer (meaning GEL 2) and the premium earned as of the date of cancellation, provided that, at the time of termination of the Policy, the Insured submits a copy or the original of the unused visa. The insurance premium shall not be refunded if the Policyholder notifies the Insurer, after the expiry of the Policy, that the Insured did not travel to the country specified in the Policy.

15. დაზღვეულის ქმედება ავადმყოფობისა და უბედური შემთხვევის დროს:

ა) დაზღვეულმა ან მასთან მყოფმა ნებისმიერმა პირმა, უნდა დარეკოს შემთხვევის დადგომიდან 24 საათის ვადაში Geo Assistance-ის ცხელი ხაზის ნომერზე +995 599156969; +995 32 2 120 033. ან უნისონის ცხელ ხაზზე საქართველოში ნომერზე +995 32 2 991 991, და აცნობოს პოლისის ნომერი, მისამართი, ტელეფონის ნომერი და არსებული პრობლემები.

15. What the Insured Should Do in case of Illness and/or Insurance Case:

a) The insured or any person accompanying them should call the Geo Assistance hotline 24 hours a day at +995 599156969; +995 32 2 120 033. or the Unison hotline in Georgia at +995 32 2 991 991, and provide the policy number, address, phone number and current problems.

ბ) ნებისმიერ შემთხვევაში, სამედიცინო დაწესებულებაში მიმართვისას დაზღვეულმა უნდა აჩვენოს ექიმს ან სამედიცინო პერსონალს წინამდებარე პოლისი.

დაზღვეული გადაიხდის პოლისში მითითებულ ფრანშიზის ოდენობას (პოლისში მითითებული ფრანშიზის, ასეთის არსებობის შემთხვევაში), რის შემდეგაც სამედიცინო მომსახურების ხარჯების დაფარვა პოლისში მითითებული ლიმიტების შესაბამისად მოხდება სადაზღვევო კომპანიის მიერ კლინიკასთან ანგარიშსწორებით, თუ დაზღვეული იმყოფება Geo Assistance-ის პროვაიდერ, ასისტანსის მიერ წინასწარ მითითებულ კლინიკაში. თუ დაზღვეული არ იმყოფება პროვაიდერ კლინიკაში, ხარჯების ანაზღაურება მოხდება საქართველოში დაბრუნების და შესაბამისი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემდეგ, ფრანშიზის გამოკლებით. სტაციონარული მკურნალობის საჭიროების შემთხვევაში სამედიცინო დაწესებულების წარმომადგენელი უნდა დაუკავშირდეს ასისტანსის ცხელ ხაზს ნომერზე +995 599156969; +995 32 2 120 033

b) In any case, when applying to a medical institution, the insured must show this policy to the doctor or medical personnel.

The insured will pay the deductible amount specified in the policy (the deductible specified in the policy, if any), after which the medical service expenses will be covered by the insurance company in accordance with the limits specified in the policy by settling with the clinic if the insured is staying at a Geo Assistance provider, a clinic previously indicated by the Assistance. If the insured is not staying at a provider clinic, the expenses will be reimbursed after returning to Georgia and presenting the relevant documentation, excluding the deductible. In case of need for inpatient treatment, the representative of the medical institution should contact the Assistance hotline at +995 599156969; +995 32 2 120 033

16. დამატებითი დაფარვები

16. Additional Covers

ბარგის დაკარგვა/დაგვიანება

ბარგში იგულისხმება პირადი ნივთები, რომელიც დაარეგისტრირა დაზღვეულის სახელზე ავიაკომპანიამ როგორც ცალკე გადასატანი ტვირთი (მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ ბარგზე კონტროლს ახორციელებს ლიცენზირებული სამგზავრო ავიაკომპანია). ხელბარგი ბარგად არ მიიჩნევა;

ბარგის დაგვიანების შემთხვევაში, დაზღვეულმა უნდა წარმოადგინოს ტვირთის სულ ცოტა 72 საათით და მეტი დაგვიანების დამადასტურებელი დოკუმენტი ავიაკომპანიიდან,

ანაზღაურება გაიცემა 7 აშშ დოლარი/ევრო ოდენობით დაყოვნებული ბარგის ყოველ ერთ კილოგრამზე.

სადაზღვევო თანხა (ანაზღაურების მაქსიმალური ოდენობა) მოცემული რისკის მიხედვით: 150 აშშ დოლარი/ევრო.

ბარგის დაკარგვის შემთხვევაში კომპანია აანაზღაურებს 1 კგ ტვირთზე 25 აშშ დოლარს/ევროს, ბარგის მაქსიმალური წონა 20 კილოგრამი. სადაზღვევო ლიმიტი შეადგენს 500 აშშ დოლარს/ევროს.

Loss of or delay of baggage

Baggage means the Insured's personal belongings registered in the Insured's name with the airline as checked baggage for transportation (This coverage shall apply only while the baggage is under the control of a licensed passenger airline). Hand luggage shall not be considered baggage.

In the event of baggage delay, the Insured shall provide a document issued by the airline confirming a delay of at least 72 (seventy-two) hours;

Remuneration will be issued in the amount of USD/EURO) 7 for each kilogram of delayed baggage.

Insurance amount (maximum amount of reimbursement) according to the given risk: USD/EURO 150.

In the event of baggage loss, the Insurer shall pay USD/EUR 25 for each kilogram of lost baggage, subject to a maximum baggage weight of 20 kg. The maximum insurance benefit for baggage loss shall be USD/EUR 500.

ბარგის დაგვიანება/დაკარგვის შემთხვევაში	**Baggage delay / loss**
მიმართეთ დაკარგული ნივთების / Lost&Found საინფორმაციო მაგიდას ბარგის დაკარგვის/ჩამოუსვლელობის შესახებ აქტის შესადგენად (Property Irregularity Report (PIR)).	Refer to the Lost & Found Information Desk for a Property Irregularity Report (PIR).
დაწერეთ ავიაკომპანიისთვის წარსადგენი განცხადება ბარგის ჩამოუსვლელობის შესახებ.	Write a statement to the airline about the non-arrival of luggage.
შეავსეთ განაცხადის ფორმა და გამოაგზავნეთ დასკანერებული საბუთები უნისონის მობილური აპლიკაციის ან საიტის, პირადი კაბინეტის საშუალებით, ან გამოაგზავნეთ მეილზე .	Fill out the application form and send the scanned documents through the Unison mobile application or the site's personal account, or send an email to hotline@unison.ge.
ავიაკომპანიამ უნდა გასცეს ცნობა ბარგის ძებნის შედეგის შესახებ:	The airline must issue a notice on the baggage search result:
ბარგის პოვნა - იგულისხმება ბარგი მოიძებნა, მიტანილია სასტუმროში, სახლში ან აეროპორტში - უნისონის მიერ ანაზღაურება მოხდება ბარგის შეფერხების დაფარვით.	**Luggage found** - Luggage found, delivered to hotel, home or airport - Unison reimbursed for baggage delays.
ბარგის დაკარგვა - იგულისხმება ბარგს ავიაკომპანია აღიარებს დაკარგულად - უნისონის მიერ ანაზღაურდება ბარგის დაკარგვის დაფარვით.	**Luggage lost** - luggage is recognized as lost by the aviacompany - will be reimbursed by Unison to cover the loss of luggage.
გამოსაგზავნი დოკუმენტების ჩამონათვალი:	**List of documents to be sent:**
1. განცხადება	1. Statement
2. პასპორტი	2. Passport
3. ჩასხდომის ბარათის ასლი	3. Copy of Boarding Pass
4. დაზღვევის პოლისი ელექტრონულ ფორმაში ან სკანირებული ასლი	4. Insurance policy in electronic form or scanned copy
5. საბარგო ქვითრების (იარლიყები/ნიშნები) ასლები	5. Copies of baggage receipts (labels / signs)
6. ბარგის ჩამოუსვლელობის, მისი წონის დამადასტურებელი დოკუმენტები. (კომერციული აქტი. Property Irregularity Report (PIR))	6. Documents confirming the non-arrival of the baggage, its weight (Commercial Act. Property Irregularity Report (PIR))
7. დოკუმენტები ავიაკომპანიიდან ბარგის ძებნის შეწყვეტის, ბარგის დაკარგულად/ნაპოვნად ცნობის, კომპენსაციის გაცემის შესახებ	7. Documents on termination of baggage search from the airline, recognition of lost / found luggage, issuance of compensation
საჭიროების შემთხვევაში, უნისონი მოითხოვს დამატებით დოკუმენტებს.	If necessary, Unison requires additional documentation.
გადაწყვეტილების მისაღებად საჭიროა დოკუმენტების სრული პაკეტი.	A complete package of documents is required to make a decision

17. ფრენის დაზღვევა: ფრენის შეფერხება/ რეისის გადადება და მოგზაურობის გაუქმების დაზღვევა.

17. Flight Insurance: Flight Delay/Flight Postponement and Trip Cancellation Insurance.

ფრენის შეფერხება/რეისის გადადება :

სადაზღვევო შემთხვევა

მზღვეველი გადაიხდის ფრენის შეფერხების/ რეისის გადადების ფიქსირებულ სადაზღვევო ანაზღაურებას, თუ დაზღვეულის დადასტურებული რეისი, რომლის დაგეგმილი გამგზავრების დრო ექცევა პოლისის მოქმედების პერიოდში, ვერ შესრულდა დაგეგმილ დროს და ავიაგადამზიდველმა უზრუნველყო დაზღვეულის მგზავრობა იმავე ან შემცვლელი რეისით თავდაპირველად დაგეგმილი გამგზავრების დროიდან არანაკლებ 12 (თორმეტი) სრული საათის შემდეგ, ამ პირობებით განსაზღვრული ერთ-ერთი დაფარული მიზეზის გამო, და აღნიშნული გარემოებები დასტურდება შესაბამისი დოკუმენტებით.

დაფარული მიზეზები

ა) თვითმფრინავის ტექნიკური გაუმართაობა;

ბ) ოფიციალურად გამოცხადებული კარანტინი;

გ) მეტეოროლოგიური პირობები, მათ შორის ტაიფუნი, შტორმი, ძლიერი ქარი, თოვლი, ნისლი, წყალდიდობის შედეგად აეროპორტის ოპერირების შეზღუდვა და სხვა ამინდის მოვლენა (მიუხედავად იმისა, იფარება თუ არა ეს რისკი უშუალოდ სამოგზაურო ჯანმრთელობის დაზღვევის პირობებით);

დ) აეროპორტის ტექნიკური პრობლემა;

ე) აეროპორტში ოფიციალურად გამოცხადებული საგანგებო მდგომარეობა;

ვ) საჰაერო მოძრაობის მართვის მიერ მოწოდებული (ATC) შეზღუდვა/მითითება.

სადაზღვევო ანაზღაურების გამოთვლა

სადაზღვევო ანაზღაურება შეადგენს 20 აშშ დოლარს/ევროს თითოეულ დასრულებულ 12-საათიან შეყოვნების პერიოდზე. თანხა გამოითვლება ფორმულით: დასრულებული 12-საათიანი პერიოდების რაოდენობა x 20.

მაქსიმალური ანაზღაურება არის 200 აშშ დოლარი/ევრო თითო დაზღვეულზე, თითოეულ სადაზღვევო შემთხვევაზე.

Flight Delay/Flight Postponement:

Insured Event

The Insurer shall pay a fixed insurance benefit for Flight Delay/Flight Postponement if the Insured's confirmed flight, the scheduled departure time of which falls within the validity period of the Policy, does not operate at the scheduled time and the air carrier transports the Insured on the same or a replacement flight at least 12 (twelve) full hours after the originally scheduled departure time, due to one of the covered reasons specified in these Terms and Conditions, and such circumstances are confirmed by the relevant supporting documents.

Covered Reasons

a) Technical malfunction of the aircraft;

b) Officially declared quarantine;

c) Meteorological conditions, including typhoon, storm, strong winds, snow, fog, restrictions on airport operations due to flooding, and other weather events (regardless of whether such risk is covered under the Travel Health Insurance Terms and Conditions);

d) Technical problems at the airport;

e) An officially declared emergency at the airport;

f) Restrictions/instructions issued by Air Traffic Control (ATC).

Calculation of Insurance Benefit

The insurance benefit shall amount to USD/EURO 20 for each completed 12-hour period of delay. The benefit shall be calculated according to the following formula: number of completed 12-hour periods × 20.

The maximum insurance benefit shall be USD/EURO 200 per Insured, per insured event. The applicable currency shall be determined by the Policy.

სადაზღვევო ანაზღაურების გამოთვლისას მხედველობაში მიიღება მხოლოდ პოლისის მოქმედების პერიოდში გასული შეფერხების სრული საათები. პოლისის მოქმედების ვადის ამოწურვის შემდეგ გაგრძელებული შეფერხების პერიოდი სადაზღვევო ანაზღაურების ოდენობის განსაზღვრისას მხედველობაში არ მიიღება.

For the purpose of calculating the insurance benefit, only the full hours of delay occurring within the validity period of the Policy shall be taken into account. Any period of delay continuing after the expiry of the Policy shall not be taken into account when determining the amount of the insurance benefit.

ავიაკომპანიის დახმარება

ავიაკომპანიის ან აეროპორტის მიერ სასტუმროს, კვების, ტრანსპორტირების, საკომუნიკაციო საშუალებების, უფასო ჯავშნების ან სხვა არაფულადი დახმარების უზრუნველყოფა არ ამცირებს და არ აუქმებს ამ მუხლით გათვალისწინებულ ფიქსირებულ სადაზღვევო სარგებელს.

Assistance Provided by the Airline

The provision of hotel accommodation, meals, transportation, communication services, free rebooking, or other non-monetary assistance by the airline or airport shall not reduce or cancel the fixed insurance benefit provided under this Article.

ფულადი კომპენსაცია

ავიაკომპანიის, აეროპორტის ან სხვა პირის მიერ მგზავრისათვის კანონით/ხელშეკრულებით გადახდილი ფულადი კომპენსაცია რეისის შეფერხების გამო არ გამოიქვითება ამ დაზღვევით დაფარული ფიქსირებული სადაზღვევო ანაზღაურებიდან, გარდა იმ შემთხვევისა, თუ პოლისის ინდივიდუალურ პირობებში პირდაპირ წერია სხვა რამ. ეს ჩანაწერი არ ზღუდავს მზღვეველის რეგრესის/სუბროგაციის უფლებას იქ, სადაც კანონით ასეთი უფლება არსებობს.

Monetary Compensation

Any monetary compensation paid to the passenger by the airline, airport, or any other person pursuant to law and/or contract due to a flight delay shall not be deducted from the fixed insurance benefit payable under this insurance, unless otherwise expressly provided in the individual terms and conditions of the Policy. This provision shall not limit the Insurer's right of recourse/subrogation where such right exists under applicable law.

ტერიტორია

რეისის შეფერხების დამატებითი დაფარვა ვრცელდება მხოლოდ იმ ფრენებზე, რომლებიც იწყება, სრულდება ან ტრანზიტით უკავშირდება პოლისში მითითებულ სამოგზაურო ტერიტორიას, მიუხედავად იმისა, რომ კონკრეტული სატრანზიტო აეროპორტი სხვა ქვეყანაში მდებარეობს.

Territory

The additional Flight Delay coverage shall apply only to flights that originate in, terminate in, or transit through the travel territory specified in the Policy, regardless of whether a particular transit airport is located in another country.

ფრენის შეფერხების/რეისის გადადების თაობაზე წარმოსადგენი დოკუმენტები:

- განაცხადი;
- პოლისი;
- დაზღვეულის პირადობის/პასპორტის ასლი მხოლოდ იდენტიფიკაციისთვის საჭირო მოცულობით;
- E-ticket/booking confirmation, სადაც ჩანს flight number, route, scheduled date/time;
- ავიაკომპანიის, აეროპორტის ან ოფიციალური flight-status წყაროს დოკუმენტი/შეტყობინება, სადაც ჩანს delay/cancellation და მიზეზი;

Documents to Be Submitted in Relation to Flight Delay/Flight Postponement:

- Claim application;
- Insurance Policy;
- Copy of the Insured's ID card/passport, limited to the information necessary for identification purposes;
- E-ticket/booking confirmation indicating the flight number, route, and scheduled date/time;
- A document/notification issued by the airline, airport, or an official flight-status source confirming the delay/cancellation and the reason thereof;

• შემცვლელი რეისის boarding pass/e-ticket ან სხვა მტკიცებულება, რომლითაც დგინდება ფაქტობრივი გამგზავრების დრო;

• დამატებითი დოკუმენტი მხოლოდ მაშინ, თუ ზემოთ ჩამოთვლილი საბუთებით შეუძლებელია მიზეზის ან დროის დადგენა.

შეტყობინების ვადა

დაზღვეულმა მზღვეველს Flight Delay-ის შესახებ უნდა აცნობოს გონივრულ ვადაში, შესაძლებლობისთანავე, მაგრამ არაუგვიანეს საქართველოში დაბრუნებიდან 5 სამუშაო დღისა.

ვადის გადაცილება თავისთავად არ არის უარის საფუძველი, თუ დაგვიანებამ მზღვეველს არ შეუშალა ხელი შემთხვევის არსებითი გარემოებების შემოწმებაში. ობიექტური მიზეზის არსებობისას ვადა გაგრძელებულად ჩაითვლება შესაბამისი მიზეზის დასრულებამდე.

• Boarding pass/e-ticket for the replacement flight or other evidence establishing the actual departure time;

• Additional documentation only if the reason for the delay or the relevant time cannot be established based on the documents listed above.

Notification Period

The Insured shall notify the Insurer of a Flight Delay within a reasonable period, as soon as reasonably possible, but no later than 5 (five) business days after returning to Georgia.

Failure to comply with the notification period shall not, in itself, constitute grounds for refusal to pay the insurance benefit, provided that such delay has not prevented the Insurer from investigating the material circumstances of the insured event.Where there is an objective reason preventing timely notification, the notification period shall be deemed extended until such reason ceases to exist.

18. მოგზაურობის გაუქმების დაზღვევა

მზღვეველი უზრუნველყოფს:

დაზღვეულის თვითმფრინავით მგზავრობის გაუქმების შემთხვევაში წინასწარ შეძენილი ავიაბილეთის ღირებულების ანაზღაურებას პოლისში მითითებული ლიმიტის ფარგლებში (1000 აშშ დოლარი/ევრო).

ანაზღაურების ლიმიტი განისაზღვრება სხვაობით შეძენილი ავიაბილეთის სრულ ღირებულებასა და იმ თანხას შორის, რომელსაც დაზღვეულს დაუბრუნებს ავიაკომპანია ბილეთის ჩაბარების (დაბრუნების) შედეგად.

იმ შემთხვევაში თუ მოგზაურობა უქმდება იმ დროს, როდესაც ავიაკომპანია აღარ იბრუნებს შეძენილ ბილეთს (არ აბრუნებს არავითარ თანხას), ანაზღაურების ლიმიტი განისაზღვრება შეძენილი ბილეთის სრული ღირებულების ოდენობით არაუმეტეს პოლისით გათვალისწინებული ლიმიტისა.

ამასთან, მზღვეველი არ გასცემს სადაზღვევო ანაზღაურებას ისეთ შემთხვევაში, როდესაც დაგეგმილი მგზავრობა, მართალია გადაიდო, მაგრამ მგზავრობა გადატანილია სხვა/ახალ თარიღზე და ავიაკომპანია ასეთზე თანხმობას აცხადებს.

აღნიშნული პირობა ძალაშია მხოლოდ მოგზაურობის გაუქმების დაფარვის შემთვევაში და არ ახდენს ზემოქმედებას რეისის შეფერხების დაფარვაზე.

18. Trip Cancellation

The Insurer shall provide:

In the event of cancellation of the Insured's air travel, reimbursement of the cost of the pre-purchased airline ticket within the limit specified in the Policy (USD/EURO 1,000).

The amount of the insurance benefit shall be determined as the difference between the full purchase price of the airline ticket and the amount refunded to the Insured by the airline upon cancellation and return of the ticket.

If the trip is cancelled at a time when the airline no longer accepts the purchased ticket for refund and no amount is refunded to the Insured, the insurance benefit shall be equal to the full purchase price of the ticket, but shall not exceed the limit specified in the Policy.

The Insurer shall not pay an insurance benefit where the planned trip has been postponed rather than cancelled, provided that the trip has been rescheduled to another/new date and the airline agrees to such rescheduling.

This provision shall apply solely to Trip Cancellation coverage and shall not affect Flight Delay coverage.

მოგზაურობის გაუქმების დაზღვევის დაფარვა აქტიურდება შემდეგი რისკებიდან ერთ-ერთის ან რამდენიმეს დადგომისას:	Trip Cancellation coverage shall apply upon the occurrence of one o r more of the following events:
– დაზღვეულის ან მისი ოჯახის წევრის გარდაცვალებით ან მათი ჯანმრთელობის მდგომარეობის მკვეთრი გაუარესებით;	– Death of the Insured or a member of the Insured's family, or a significant deterioration in their health condition;
– დაზღვეულის სასამართლოში, მოწმის სახით, გამოცხადების აუცილებლობით;	– The Insured being required to appear before a court as a witness;
– პოლიციის / სამართალდამცავი ორგანოების გამო დაზღვეულის ქვეყანაში დარჩენის აუცილებლობით;	– The necessity for the Insured to remain in the country due to the police and/or law enforcement authorities;
– დაზღვეულის საცხოვრებელ სახლში მომხდარი ხანძრით, აფეთქებით, წყალდიდობით, ქურდობით.	– Fire, explosion, flooding, or theft occurring at the Insured's place of residence;
– დაზღვეულის მივლინების გაუქმებით გამოწვეული მგზავრობის გადადებით/გაუქმებით მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დაზღვეულის დამსაქმებელია საჯარო დაწესებულება.	– Postponement/cancellation of the trip due to cancellation of the Insured's business trip, only where the Insured's employer is a public institution.
მგზავრობის გაუქმების შესახებ გადაწყვეტილების მიღებისთანავე დაზღვეული/დამზღვევი ან უფლებამოსილი პირი ვალდებულია, 24 საათის განმავლობაში, ხოლო თუ აღნიშნულ ვადაში შეტყობინება ობიექტურად შეუძლებელია დაზღვეულის საქართველოში არყოფნის გამო — არაუგვიანეს საქართველოში დაბრუნებიდან 5 სამუშაო დღისა, შეატყობინოს მზღვეველს წერილობით ამ ფაქტის შესახებ. წერილობით განცხადებაში მითითებული უნდა იყოს მგზავრობის გაუქმების მიზეზი და მას თან უნდა ერთვოდეს შემდეგი დოკუმენტაცია:	Upon deciding to cancel the trip, the Insured/ Policyholder or an authorized person shall notify the Insurer thereof in writing within 24 (twenty-four) hours or, where notification within such period is objectively impossible due to the Insured's absence from Georgia, no later than 5 (five) business days after the Insured's return to Georgia. The written application shall specify the reason for the cancellation of the trip and shall be accompanied by the following documents:
• სადაზღვევო პოლისი;	• Insurance Policy;
• დაზღვეულის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი;	• The Insured's identification document;
• ბილეთის და/ან ჯავშნის ასლები;	• Copies of the ticket and/or booking confirmation;
• მოგზაურობის გაუქმების დამადასტურებელი სათანადო დოკუმენტები (მაგ: გარდაცვალების ცნობა, ცნობა ჯანმრთელობის შესახებ (ფორმა 100), დამსაქმებლის მიერ მივლინების გაუქმების თაობაზე ოფიციალური ბრძანება, ხანძრის, ქურდობის და სხვა სათანადო გარემოებათა დამადასტურებელი, კომპეტენტური ორგანოს მიერ გაცემული ცნობები/მტკიცებულებები).	• Appropriate documents confirming the cancellation of the trip (e.g., death certificate, medical certificate (Form 100), an official order issued by the employer regarding the cancellation of the business trip, certificates/evidence issued by a competent authority confirming fire, theft, or other relevant circumstances).
კონკრეტული შემთხვევის დროს, მზღვეველი უფლებამოსილია, შემთხვევის სპეციფიკიდან გამომდინარე, მოითხოვოს შემთხვევასთან დაკავშირებული დამატებითი დოკუმენტაცია.	In a particular case, depending on the specific circumstances of the case, the Insurer shall be entitled to request additional documentation related to the case.

ვადის გადაცილება თავისთავად არ არის ანაზღაურებაზე უარის თქმის საფუძველი, თუ დაგვიანებამ მზღვეველს არ შეუშალა ხელი შემთხვევის არსებითი გარემოებების შემოწმებაში. დაგვიანებული შეტყობინებისთვის ობიექტური მიზეზის არსებობისას ვადა გაგრძელებულად ჩაითვლება შესაბამისი მიზეზის დასრულებამდე.

Failure to comply with the notification period shall not, in itself, constitute grounds for denial of the insurance benefit, provided that such delay has not prevented the Insurer from investigating the material circumstances of the insured event. Where there is an objective reason for the delayed notification, the notification period shall be deemed extended until such reason ceases to exist.

19. რეგრესის უფლება

19. The right of regress

სადაზღვევო ანაზღაურების გაცემის შემდეგ მზღვეველზე გადადის რეგრესული ანაზღაურების მოთხოვნის უფლება, რომელიც დაზღვეულს/მოსარგებლეს გაარნია ზიანზე პასუხისმგებელი პირის მიმართ.

After the issuance of the insurance indemnity, the right of regress is transferred to the insurer, which the insured / beneficiary has towards the person responsible for the damage.

წინამდებარე დაზღვევის პირობები წარმოადგენს სადაზღვევო ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს და მოქმედებს სადაზღვევო პოლისთან და, არსებობის შემთხვევაში, დამატებითი დაფარვის სპეციალურ პირობებთან/დანართებთან ერთად.

These Terms and Conditions form an integral part of the insurance contract and shall apply together with the Insurance Policy and, where applicable, any special terms/annexes relating to additional coverage.

სადაზღვევო ხელშეკრულების შემადგენელ დოკუმენტებს შორის განსხვავების ან წინააღმდეგობის არსებობის შემთხვევაში უპირატესობა ენიჭება შემდეგი თანმიმდევრობით:

In the event of any discrepancy or conflict between the documents forming part of the insurance contract, the following order of precedence shall apply:

ა) სადაზღვევო პოლისის ინდივიდუალურ პირობებს;

a) the individual terms of the Insurance Policy;

ბ) შესაბამისი დამატებითი დაფარვის სპეციალურ პირობებს;

b) the special terms applicable to the relevant additional coverage;

გ) წინამდებარე დაზღვევის ზოგად პირობებს.

c) these General Terms and Conditions of Insurance.

20. რეკლამაციის წარდგენისა და განხილვის წესი

20. Procedure for Submitting and Handling Complaints

ნებისმიერი პრეტენზიის არსებობის შემთხვევაში, დამზღვევი/დაზღვეული უფლებამოსილია მიმართოს მზღვეველს წერილობით.

In the event of any complaint, the Policyholder/Insured is entitled to submit a written complaint to the Insurer.

პრეტენზიის დაფიქსირება შესაძლებელია შემდეგ ელექტრონულ მისამართზე: complaint@unison.ge.

Complaints may be submitted to the following email address: complaint@unison.ge.

დამატებითი ინფორმაციის მისაღებად მომხმარებელს შეუძლია დაუკავშირდეს მზღვეველს შემდეგ ნომერზე: (+995 32) 2 991 991.

For additional information, customers may contact the Insurer at the following telephone number: (+995 32) 2 991 991.

პრეტენზიის განხილვას უზრუნველყოფს მზღვეველის რეკლამაციებისა და ხარისხის მართვის მენეჯერი. მზღვეველი ვალდებულია შეისწავლოს პრეტენზია და მისი განხილვის შედეგად მიღებული დასაბუთებული პასუხი მომხმარებელს მიაწოდოს პრეტენზიის მიღებიდან არაუგვიანეს 30 (ოცდაათი) კალენდარული დღისა, თუ კანონმდებლობით ან სხვა სავალდებულო წესით უფრო მოკლე ვადა არ არის განსაზღვრული.

The review and handling of complaints shall be ensured by the Insurer's Complaints and Quality Management Manager. The Insurer shall examine the complaint and provide the customer with a reasoned written response no later than 30 (thirty) calendar days from the date of receipt of the complaint, unless a shorter period is prescribed by applicable legislation or other mandatory regulations.

21. პერსონალურ მონაცემთა დამუშავება

1. დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირი

პერსონალური მონაცემების დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირია სს „სადაზღვევო კომპანია უნისონი" - შემდგომში „მზღვეველი".

მზღვეველთან დაკავშირება შესაძლებელია ელექტრონული ფოსტის მისამართზე: hotline@unison.ge ან ტელეფონის ნომერზე: +995 322 991 991.

პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერი: შპს მონაცემთა დაცვის ოფიცერი, info@dpo.ge

2. მონაცემთა კატეგორიები და დამუშავების მიზნები

სამოგზაურო დაზღვევის ხელშეკრულების დადებისა და შესრულების ფარგლებში მზღვეველი ამუშავებს დამზღვევისა და დაზღვეულის საიდენტიფიკაციო და საკონტაქტო მონაცემებს, პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის მონაცემებს, მოგზაურობის, სადაზღვევო პოლისის, გადახდისა და ანაზღაურების შესახებ ინფორმაციას, აგრეთვე სადაზღვევო შემთხვევასთან დაკავშირებულ მონაცემებსა და დოკუმენტაციას.

აღნიშნული მონაცემები მუშავდება პოლისის გასაცემად, სადაზღვევო მომსახურების ორგანიზებისა და გაწევისთვის, სადაზღვევო შემთხვევის გარემოებების დასადგენად, დაფარვისა და გამონაკლისების შესაფასებლად, სადაზღვევო ანაზღაურების საკითხის გადასაწყვეტად, განცხადებებისა და პრეტენზიების განსახილველად, აგრეთვე კანონმდებლობით დაკისრებული ვალდებულებების შესასრულებლად და სამართლებრივი მოთხოვნების დასაცავად.

21. Personal Data Processing

1. Data Controller

The controller of personal data is JSC Insurance Company Unison (hereinafter the "Insurer").

The Insurer may be contacted by email at hotline@unison.ge or by telephone at +995 322 991 991.

Data Protection Officer: Data Protection Officer LLC, info@dpo.ge

2. Categories of Data and Purposes of Processing

For the purposes of entering into and performing the travel insurance contract, the Insurer processes the Policyholder's and the Insured's identification and contact details, identity document details, information concerning travel, the insurance policy, payments and reimbursements, and data and documentation relating to insured events.

These data are processed for the purposes of issuing the policy, organising and providing insurance services, establishing the circumstances of insured events, assessing coverage and exclusions, determining insurance claims, reviewing applications and complaints, complying with statutory obligations, and defending legal claims.

მონაცემთა დამუშავება ხორციელდება თითოეული მიზნისთვის აუცილებელი მოცულობითა და შესაბამისი სამართლებრივი საფუძვლით, მათ შორის ხელშეკრულების დადების, შესრულების, მომსახურების გაწევისა და კანონმდებლობით დაკისრებული მოვალეობის შესრულების საფუძვლებით.

Data are processed only to the extent necessary for each purpose and on an appropriate legal basis, including entering into and performing the contract, providing services, and complying with statutory obligations.

3. დაზღვეულის თანხმობა განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემების დამუშავებაზე

3. The Insured's Consent to the Processing of Special Categories of Personal Data

წინამდებარე პირობებზე თანხმობის გამოხატვით დაზღვეული, მისთვის ამ ნაწილით გათვალისწინებული ინფორმაციის წინასწარ მიწოდების შემდეგ, აცხადებს თანხმობას, რომ მზღვეველმა სამოგზაურო დაზღვევის მომსახურების ორგანიზებისა და გაწევის, სადაზღვევო შემთხვევის შეფასებისა და სადაზღვევო ანაზღაურების საკითხის გადაწყვეტის მიზნით მოიპოვოს და დაამუშაოს მისი განსაკუთრებული კატეგორიის პერსონალური მონაცემები, კერძოდ, ჯანმრთელობასთან დაკავშირებული ინფორმაცია.

By accepting these terms and conditions online, and having first been provided with the information set out in this section, the Insured consents to the Insurer obtaining and processing special categories of their personal data, namely health-related information, for the purposes of organising and providing travel insurance services, assessing insured events, and determining insurance claims.

თანხმობა მოიცავს მხოლოდ აღნიშნული მიზნებისთვის აუცილებელ მონაცემებს ჯანმრთელობის მდგომარეობის, დიაგნოზის, დაავადების ან დაზიანების, ჩატარებული გამოკვლევების, მკურნალობისა და გაწეული სამედიცინო მომსახურების შესახებ. საჭიროების შემთხვევაში, დამუშავება შეიძლება მოიცავდეს სადაზღვევო შემთხვევამდე არსებულ ჯანმრთელობის მდგომარეობასთან დაკავშირებულ ინფორმაციასაც, მხოლოდ შესაბამისი სადაზღვევო დაფარვისა და გამონაკლისების შესაფასებლად აუცილებელი მოცულობით.

This consent covers only the data necessary for those purposes concerning the Insured's health status, diagnosis, illness or injury, examinations and investigations, treatment, and medical services received. Where necessary, processing may also include information concerning the Insured's health status prior to the insured event, solely to the extent necessary to assess the applicable insurance coverage and exclusions.

თანხმობა ვრცელდება ამ მონაცემების დაზღვეულისგან, მისი უფლებამოსილი წარმომადგენლისგან, ექიმებისგან, სამედიცინო დაწესებულებებისა და ასისტანს კომპანიისგან მიღებაზე, შეგროვებაზე, აღრიცხვაზე, შენახვაზე, გამოყენებასა და ამ ნაწილით განსაზღვრული მიმღებებისთვის აუცილებელი მოცულობით გადაცემაზე.

The consent extends to receiving these data from the Insured, their authorised representative, physicians, medical institutions and the assistance company, and to collecting, recording, storing and using the data, as well as disclosing them to the recipients specified in this section to the extent necessary.

4. ინფორმაციის მოპოვება და მონაცემთა მიმღებები

4. Obtaining Information and Data Recipients

დაზღვეული თანახმაა, რომ შესაბამისმა ექიმებმა, სამედიცინო დაწესებულებებმა და ასისტანს კომპანიამ მზღვეველს მიაწოდონ ამ ნაწილის მე-3 პუნქტით განსაზღვრული მიზნებისთვის აუცილებელი ინფორმაცია და დოკუმენტაცია.

The Insured consents to the relevant physicians, medical institutions and assistance company providing the Insurer with the information and documentation necessary for the purposes specified in paragraph 3 of this section.

სადაზღვევო მომსახურების ორგანიზებისა და სადაზღვევო შემთხვევის მართვისთვის აუცილებელი მონაცემები მზღვეველმა შეიძლება გადასცეს ასისტანს კომპანიას - შპს „ჯეო ასისტანსს", მომსახურების გაწევაში ჩართულ შესაბამის სამედიცინო დაწესებულებებსა და სატრანსპორტო მომსახურების მიმწოდებლებს. მონაცემები ასევე შეიძლება გადაეცეს მზღვეველის სახელით მონაცემთა დამუშავებაზე უფლებამოსილ პირებსა და კანონით უფლებამოსილ ორგანოებს, შესაბამისი სამართლებრივი საფუძვლის არსებობისას.

The Insurer may disclose data necessary for organising insurance services and managing insured events to the assistance company, Geo Assistance LLC, and to the relevant medical institutions and transport service providers involved in providing the services. Data may also be disclosed to persons authorised to process data on behalf of the Insurer and to competent authorities, where an appropriate legal basis exists.

ინფორმაციის მოპოვება და გადაცემა შემოიფარგლება კონკრეტული მომსახურებისთვის ან სადაზღვევო შემთხვევისთვის აუცილებელი მოცულობით. აღნიშნული თანხმობა არ გულისხმობს ინფორმაციის მიმწოდებელი ან მიმღები პირების კონფიდენციალურობისა და პროფესიული საიდუმლოების დაცვის ვალდებულებისგან ზოგად გათავისუფლებას.

Information shall be obtained and disclosed only to the extent necessary for the specific service or insured event. This consent does not constitute a general release of information providers or recipients from their obligations of confidentiality or professional secrecy.

5. მონაცემთა საერთაშორისო გადაცემა

საზღვარგარეთ მომსახურების ორგანიზებისა და სადაზღვევო შემთხვევის მართვისთვის საჭირო მონაცემთა სხვა სახელმწიფოში გადაცემა ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი საფუძვლისა და გარანტიების არსებობისას. დაგეგმილი საერთაშორისო გადაცემისა და მონაცემთა დაცვის გარანტიების შესახებ დაზღვეულს ინფორმაცია მიეწოდება კანონით დადგენილი წესით.

5. International Data Transfers

Data necessary for organising services abroad and managing insured events shall be transferred to another country only where the appropriate legal basis and safeguards required by Georgian law are in place. The Insured shall be informed of planned international transfers and the relevant data protection safeguards in accordance with the procedure prescribed by law.

6. მონაცემთა შენახვა და უსაფრთხოება

მონაცემები ინახება მათი დამუშავების მიზნებისთვის აუცილებელი ვადით. შენახვის ვადა განისაზღვრება მონაცემთა კატეგორიის, სადაზღვევო ურთიერთობის ხანგრძლივობის, კანონმდებლობით გათვალისწინებული სავალდებულო შენახვის ვადებისა და შესაბამისი სამართლებრივი მოთხოვნების ხანდაზმულობის ვადების გათვალისწინებით. მიმდინარე დავის შემთხვევაში შესაბამისი მონაცემები ინახება დავის დასრულებისა და მიღებული გადაწყვეტილების აღსრულებისთვის აუცილებელი ვადით. შენახვის სამართლებრივი საფუძვლების ამოწურვის შემდეგ მონაცემები ნადგურდება.

6. Data Retention and Security

Data shall be retained for as long as necessary for the purposes for which they are processed. Retention periods shall be determined by reference to the category of data, the duration of the insurance relationship, mandatory statutory retention periods, and the applicable limitation periods for legal claims. Where a dispute is ongoing, the relevant data shall be retained for the period necessary to conclude the dispute and enforce the resulting decision. Once the legal grounds for retention no longer apply, the data shall be destroyed.

მზღვეველი უზრუნველყოფს მონაცემთა დაცვის შესაბამის ორგანიზაციულ და ტექნიკურ ღონისძიებებს და მონაცემებზე წვდომას ანიჭებს მხოლოდ სათანადოდ უფლებამოსილ პირებს.

The Insurer shall implement appropriate organisational and technical measures to protect the data and shall grant access only to duly authorised persons.

7. დაზღვეულის უფლებები და თანხმობის გამოხმობა

დაზღვეულს უფლება აქვს, კანონით გათვალისწინებული პირობებისა და გამონაკლისების შესაბამისად, მიიღოს ინფორმაცია მისი მონაცემების დამუშავების შესახებ, გაეცნოს მონაცემებს და მიიღოს მათი ასლები, მოითხოვოს მონაცემების გასწორება, განახლება ან შევსება, დამუშავების შეწყვეტა, წაშლა, განადგურება ან დაბლოკვა, აგრეთვე ისარგებლოს კანონით გათვალისწინებული სხვა უფლებებით.

დაზღვეულს შეუძლია ნებისმიერ დროს გამოიხმოს თანხმობა მზღვეველთან ან პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერთან მიმართვით, მათ შორის ელექტრონული ფოსტის საშუალებით. თანხმობის გამოხმობა არ მოქმედებს გამოხმობამდე განხორციელებული დამუშავების კანონიერებაზე.

თანხმობის გამოხმობის შემთხვევაში მზღვეველი წყვეტს ამ საფუძვლით მონაცემთა დამუშავებას და უზრუნველყოფს მონაცემების წაშლას ან განადგურებას, გარდა იმ შემთხვევისა და მოცულობისა, როდესაც მათი შემდგომი დამუშავებისთვის არსებობს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა საფუძველი.

უფლებების დარღვევის შემთხვევაში დაზღვეულს შეუძლია მიმართოს სახელმწიფო აუდიტის სამსახურს ან სასამართლოს.

წინამდებარე პირობები შედგენილია ორი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ინგლისურ და ქართულ ენებზე, ქართულსა და ინგლისურ თარგმანში კოლიზიისას, უპირატესობა მიენიჭება ქართულ ვერსიას.

7. The Insured's Rights and Withdrawal of Consent

Subject to the conditions and exceptions prescribed by law, the Insured has the right to obtain information about the processing of their personal data, access the data and obtain copies, request the rectification, updating or completion of the data, the cessation of processing, or the erasure, destruction or blocking of the data, and exercise any other rights provided by law.

The Insured may withdraw consent at any time by contacting the Insurer or the Data Protection Officer, including by email. Withdrawal of consent shall not affect the lawfulness of processing carried out before the withdrawal.

Upon withdrawal of consent, the Insurer shall cease processing data on that basis and ensure that the data are erased or destroyed, except where, and to the extent that, another legal basis exists under applicable law for their continued processing.

If the Insured's rights are infringed, the Insured may lodge a complaint with the State Audit Office of Georgia or seek a judicial remedy.

These Terms and Conditions are drawn up in Georgian and English, both texts having equal legal force. In the event of any conflict between the Georgian and English texts, the Georgian version shall prevail.